ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4653092

ნომერი: AR1699232

თარიღი : 07.08.2019

გაცემის თარიღი : 02.09.2019

გაცნობის თარიღი : 02.09.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეგობრობის პარკის დასაწყისში;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი დანელია პ/ნ 01024069028
- თბილისი მ. და ა.ბალანჩივაძეების ქ. N 39 ბ. 61

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 20 ოქტომბრის №3628331 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების და 2017 წლის 25 ოქტომბრის №3636204 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 07 აგვისტოს №AR1699232 განცხადებით მომართა გიორგი დანელიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017 წლის 20 ოქტომბრის №3628331 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება და 2017 წლის 25 ოქტომბრის №3636204 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 20 ოქტომბრის №3628331 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ისანი, მეგობრობის პარკის დასაწყისში, შპს "ლიტ ჯეო ინვესტი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.14.003.144), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი N1-ის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, 2017 წლის 25 ოქტომბრის №3636204 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 25 ოქტომბრიდან 2020 წლის 25 ივნისის ჩათვლით. აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირდა შპს "ლიტ ჯეო ინვესტი" (243859749). განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2017 წლის 20 ოქტომბრის №3628331 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი 7336.5 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 7416.8 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 1532.6 კვ.მ-ის ნაცვლად - 1537.7 კვ.მ. კომერციული ფართობი 1372.0 კვ.მ-ის ნაცვლად - 1372.4 კვ.მ. ხოლო, საერთო ფართობი 12796.6 კვ.მ-ის ნაცვლად - 12882.4 კვ.მ. განმცხადებლის მიერ ასევე წარმოდგენილია შესწორებული გეგმები. ასევე, ვინაიდან შეიცვალა საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი და მესაკუთრე, მოთხოვნილია შესაბამისი ცვლილების შეტანა 2017 წლის 25 ოქტომბრის №3636204 ბრძანებაშიც.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ფართობები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა 2017 წლის 20 ოქტომბრის №3628331 ბრძანებაში. ამასთან, სამსახურმა აქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ 2017 წლის 25 ოქტომბრის №3636204 ბრძანებით მშენებლობის ნებართვა გაიცა N01.17.14.003.661 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდი, დღევანდელი მდგომარეობით, არის - N01.17.14.003.724 (ფართობის და კონფიგურაციის ცვლილება არ მომხდარა, შეიცვალა მხოლოდ საკადასტრო კოდი). საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხ. რეგისტრაცია – №882019386774, მომზადების თარიღი: 21/05/2019 10:58:10) მიხედვით, №01.17.14.003.724 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ორთაჭალა 33“ (402079978). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაცია - B19048671, მომზადების თარიღი: 14/05/2019 12:28:26), შპს „ორთაჭალა 33“-ის (402079978) დირექტორს წარმოადგენს გიორგი დანელია (პ/ნ: 01024069028).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 20 ოქტომბრის №3628331 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი: 7416.8 კვ.მ. საზაფხულო ფართობი: 1537.7 კვ.მ. კომერციული ფართობი: 1372.4 კვ.მ. საერთო ფართობი: 12882.4 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 20 ოქტომბრის №3628331 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გეგმებით.
3. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 25 ოქტომბრის №3636204 ბრძანებაში და დამკვეთად შპს "ლიტ ჯეო ინვესტი"-ის (243859749) ნაცვლად დაფიქსირდეს შპს „ორთაჭალა 33“ (402079978), ხოლო საკადასტრო კოდი N01.17.14.003.661-ის ნაცვლად - N01.17.14.003.724.
4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 20 ოქტომბრის №3628331 და 2017 წლის 25 ოქტომბრის №3636204 ბრძანებები დანარჩენ ნაწილში დარჩეს

უცვლელი.

5. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 20 ოქტომბრის №3628331 და 2017 წლის 25 ოქტომბრის №3636204 ბრძანებებთან ერთად.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.